

ლიცენზირებული საშური



საშურის მუნიციპალიტეტის ბაზეთი „საშურის მოამბის“ ღამატიპა №4, 28 ივლისი, სამშაბათი, 2020 წელი



სალომე ლომიძე საშურის №1 საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლეა. რამდენიმე თვის წინ იგი ს.ს.ი.პ. „მწერალთა სახლის“ მოთხრობების კონკურსის „სამყარო ხვალ“ ათეულში მოხვდა. წარმატებებს ვუსურვებთ სალომეს და გთავაზობთ მის საკონკურსო მოთხრობას.

მე მცია...

– სალომე, ჩვენ გავდივართ! უკვე დილის ექვსი საათი სრულდება, მალე, გაიღვიძე, გაიღვიძე!..

– ორი წუთიც დამაცადეთ და ავდგები. დღეს სკოლაში არ მივდივარ, დაგავინწყდათ?

– არა, არ დაგავინწყდა, მაგრამ ფეხზე ხომ უნდა იყო? ჩვენ საღამოს ცხრამდე ვერ დავბრუნდებით და მინდა, იმედიანად დაგტოვო.

– აჰა, გასაგებია, სერ! – უაზროდ გაბადრული სახით წამოვიძახე და აქეთ-იქით მორბენალ დედაჩემს შევხედე. მან კი საყვედურნარევი, მაგრამ ღიმილიანი სახით მომაპყრო მხერა.

მივხვდი, რომ თვალებს ვერაფრით ვაიძულებდი წამწამების დაშორებასა და გახელას, ამიტომ, იმ ორი წუთის ნებივრობაში გატარება გადავწყვიტე. ამ დროს კი „ჰლუპი“ თავს წამომადგა და ვიგრძენი, თუ როგორ დამადო თავისი ცივი ხელი თავზე. თან დედაჩემზე ხმამაღლა გაიძახის:

– სა-ლო-მე, ადე-ქი, ისა-უზ-მე! დე-და და მა-მა გე-ლო-დე-ბი-ან, გე-ლო-დე-ბი-ან!

„ჰლუპი“ ჩემი მალვიძარაა. გარდა „ჰლუპისა“, უკვე ძალიან ბევრი პირადი რობოტი მყავს. ზოგს დაბადების დღეზე მჩუქნიან, ზოგსაც მაშინ, როცა სკოლაში, ციფრულ პლატფორმაზე კარგ შეფასებას დავაგროვებ. მერე კი უფლებას მაძლევენ, მთავარ რობოტ-ცენტრში მივიდე და, უშუალოდ, თვითონ შევქმნა რობოტი. მე, საბედნიეროდ, ორჯერ მერგო ეს პატივი. მათ დავარქვი კალიფორნია და ჩიკაგო. ეს სახელები ისე უჩვეულოა ყველასთვის, თუმცა, მე მიყვარს.

გასულ წელს, სარდაფში, ჩემი დიდი ბაბუის დღიური ვიპოვე და როდესაც ხელით ნაწერი დავინახე, ამოუხსნელმა შეგრძნებებმა მოიცვა ჩემი სხეული. ალბათ, გაკვირვებამ, სიამაყემ. ჩემი ბებია-ბაბუა ისე დაიბადნენ და გარდაიცვალნენ, რომ კალამი ხელში არ აუღიათ. რასაკვირველია, ჩემს მშობლებსაც ფურცელზე საკუთარი ხელით არ დაუწერიათ. უკვე ას წელზე მეტია, ყველა, რაიმეს დასაწერად, „სენსორის ფირფიტებს“ იყენებს, რომელიც სხვადასხვა ზომისა და ფერისაა. რაც შეეხება დღიურს, მასში ამოვიკითხე:

„მთელი ცხოვრება მოგ ზაურობაზე ვოცნებობდი. შეიძლება, წლების შემდეგ, ჩემთვის მიუღწეველი, ვილაციისთვის ერთი საათის გადაფრენა-გადმოფრენად იქცეს. ფაქტიურად, დღესაც ასეა. ახალგაზრდები მსოფლიოს გარს უფლიან, მაგრამ ცხოვრება ასეთია. ოცნებაც ტკბილია, იცით? არ ვიცი რატომ, ან რა ასაკიდან შემოძვრა ის ჩემს ტვინში, თუმცა, დღემდე ჩემს გვერდით არის, ჩემს ფიქრებში. შეიძლება გულიანად გადაიხარხაროთ, როდესაც ჩემს ოცნებას გაგიმხვლთ, ეს კალიფორნიისა და ჩიკაგოს მონახულებაა. ახლა კი იცინე, შენ, დღიურო და შენც, თუ ვინმემ იპოვე ჩემი ჩანაწერები.“ – ამის წაკითხვამ ჩემი გრძობები ხელახლა გააფერადა. გულში ჩამრჩა ეს ორი სიტყვა და შემდეგ, ჩემს რობოტებსაც დავარქვი.

ამ ფიქრებში ვარ გართული, როდესაც „ბრეტამ“ ყავა მოამზადა და მაგიდაზე დადგა. ალბათ მიხვდებით, რომ „ბრეტაც“ იმ რობოტებს განეკუთვნება, რომლებიც სახლში ჩვენს „კომფორტს“ უზრუნველყოფენ. გულწრფელად რომ გითხრათ, მათი შექმნილი ეს „იდილია“, სადაც ჩვენ არაფრის გაკეთება გვინევს და, მხოლოდ, მათ ზუზუნს, კოსმიურ ხმებს ვუსმენთ, მომაბეზრებელი და, რაც ყველაზე მთავარია, ცივია, უსიცოცხლოა. შეიძლება თქვენში უმადური ადამიანის შთაბეჭდილება დავტოვე, რომელიც იმ დიდ სიკეთეს, რასაც ამდენი რობოტი აკეთებს ჩემს „დასახმარებლად“, არ ვაფასებ, თუმცა, გამუდმებით

ვფიქრობ ამაზე და უკვე ვხვდები, რომ მათ ბურუსში გახვეულს, ადამიანობის შეგრძნება გვეკარგება. ზოგჯერ, თავი, მეც მათნაირი მგონია. დარწმუნებული ვარ, ჩემი ეს დამოკიდებულება დღეს, აქ, არავის მოენონება. ჩვენთან ხომ ყველა შეპყრობილია და ძალიან მტკივნეულად განვიცდი ამ „სიცივის“ ხალხზე გავრცელებას!..

აღარ მომწონს, რომ ტანსაცმელი დილით შერჩეული მხვდება, კბილებს სარკეზე დამონტაჟებული ხელსაწყო მიხეხავს, ყოველდღე ჩემი განწყობის შესახებ მონაცემები ტელევიზორში შემყავს, ის კი ხასიათის შესაფერის გადაცემას, ფილმს მირჩევს. ეს ყველაფერი ჩემი დიდი ბაბუის, იმის ბაბუის და ა.შ თაობისთვის საოცნებო, სანატრელი იყო, ახლა კი გამოვჩნდი ადამიანი, ვინც თავხედურად იწუნებს. მე მანუხებს, რომ ორი ამაზრზენი თვეა, მეგობრები პირისპირ არ მინახავს, მიზეზი კი ყველაზე უაზროა: ჩვენ გარეთ გასვლა და შეხვედრა გვეზარება, რადგან ერთმანეთის ვირტუალურ გამოსახულებებს ყოველდღე ვხედავთ, სახლიდან გაუსვლელად, ისე, თითქოს ჩემს პირდაპირ სხედან. ღამით ვფიქრობდი, ხომ არ დამავინწყდა როგორია, როდესაც ვინმეს ჩახუტები, გაესაუბრები და ვერ გავეცი ამ კითხვას პასუხი.

ბავშვობაში სულ მინდოდა, რაიმე ისეთი გამეკეთებინა, რაც ცვლილებისკენ იქნებოდა მიმართული. შინაურულად რომ ვთქვა, ან რაიმე ახალი შემექმნა, ან პირიქით, გამენადგურებინა. მგონი, დღეს ის დღეა, როცა ასეთი „რალაც“ უნდა გავაკეთო. დიახ, არ მოგესმათ, მე მომიწევს ბევრი რამის გაფუჭება, ყველასთვის საჭიროსა და ახლის შესაქმნელად. დღეს დავაბრუნებ იმას, რაც ჩემი დიდი ბაბუის დღიურში მომწესხველად არის აღწერილი.

„ფესტის“ დაუძახე, რომ ჩემთვის ქურთუკი მოეტანა. იმედა, კვების ელემენტი არ დაუჯდა და გაიგონებს!..

ქურაში მშვიდად გავედი. შემდეგ ერთ-ერთი „ლივლივა“ შევაჩერე, ზედ დავდექი და რობოტ-ცენტრისკენ ავიღე გეზი. მივქრივარ და თავში ისეთი აურზაურია, აზრები დავიმშვიდო, თუ გზას ვუყურო, რომ „ელვებს“ არ დავეტაკო, აღარ ვიცი. და აი, ცენტრის მთავარი შენობაც გამოჩნდა. მგონი, თქვენთვის არ მითქვამს, რომ მამაჩემი სწორედ აქ მუშაობს. გადმოვედი „ლივლივადან“ და შიგნით შევედი. ვეცადე, ყველასგან შეუმჩნეველად ჩავსულიყავი ნულ სართულზე. წამწამების ფახუნით მივედი იმ ოთახთან, სადაც მთელი ქალაქის სადენებია თავმოყრილი. უზარმაზარ რკინის კართან ორმა დაკუნთულმა მცველმა შემაჩერა. მე კი, თავდაჯერებულმა, ჩემი გვარი ვუთხარი და მოვახსენე, რომ მამამ გამომგზავნა, რალაც მონაცემის ამოსაწერად. გამიმართლა და იმ წუთებში ტყუილს გრძელი ფეხები აღმოაჩნდა. მათ გამიღიმეს და შემიშვეს. სასწრაფოდ, სადენებთან მივვარდი და მთელი ძალით გამოვგლიჯე იმდენი, რამდენიც შევძელი. ზოგიც გავწყვიტე და გულის ბაგაბუგით გამოვიქეცი.

მთელ შენობაში გამაწვრილებელი სასიგნალო ხმა ისმოდა. არ ვიცი როგორ, მაგრამ გამოვალნიე იქიდან. არც „ლივლივა“ მიძებნია და გავიქეცი მთელი ძალით ჩემი სახლისკენ.

მივრბოდი და არ მჯეროდა, რომ ჩემს ქალაქში მივრბოდი. თითქოს ერთ წამში შეიცვალა ყველაფერი. ხალხი გარეთ გამოსულიყო, ერთმანეთთან გაცხარებით დენის გათიშვის მიზეზებს განიხილავდნენ. როდესაც ჩემს უბნამდეც მივალნიე, სირბილით დალილმა, სვლა შევანელე. ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ამდენი მეზობელი მყავდა. დეიდა ემა წამცხვრის ლანგრით მიიჩქაროდა მეორე მეზობლის სახლისკენ. ბავშვებს ბურთი ჰქონდათ გამოტანილი და ერთმანეთს ბედნიერი სახეებით ეთამაშებოდნენ. ხალხის ხმა ისმის!..

ჩვენ უკვე ცოცხალ ადამიანებად ვიქეცი. გარშემო ყველაფერი ფეთქავს. აქ ისევ სიცოცხლეა. სიცოცხლიანი სიცოცხლე!..

ამწუთას კი ვხედავ, როგორ მოემართებიან ფორმიანი, კოპებშეკრული პოლიციელები. ის ისაა, ხელი უნდა ჩამავლონ, რომ... გამეღვიძა.

ვერ ვიჯერებ, რომ ეს ყველაფერი: ჩემი გაბედულობით სავსე გაქროლება და ელექტროენერგიის გარეშე დარჩენილი ხალხის ხელახალი გამოღვიძება, სიზმარი იყო. ნუთუ, ეს ორი წუთი ერთ საათად ქცეულა!

თვალეები ავატრიალედ და თავზე ისევ „ჰლუპი“ მადგას:

– უკ-ვე შეი-დი სა-ათია, ადე-ქი! სწრა-ფად! სწრა-ფად!

ახლა კი ავდგები, მაგრამ დადგება დრო, როცა გავთბები?

პოეზია



ლოლი ლაშვილი

* * *

მზე იყო მშვიდი,
თვალზე, კურცხალით,
შეფითებოდა
ბაგე-ტუჩები...
ო, რა ძნელია,
რომ არ გეთმოება,
ბორგავს სული და...
შენ ეურჩები!

* * *

როგორ მომენატრება
ეს სიჩუმე ღამისა,
სარკმელს შემოტმასნული
შუქ-ჩრდილები მთვარისა.
ხეების მაყრიონი,
აღუბლების კუნწულა,
თხილნარი და ლელვნარი,
როგორ გადახუნძლულა!
როგორ დალიცლიცებენ
ფარვანები ღამისა,
ფოთლებს კოცნა აჩნიათ
გაშმაგებულ ქარისა.
ნატვრის ხე შემოსილა
ჭრელა-ჭრულა ჭინჭებით,
იქვე, ლელის ნაპირზე,
როკვით ხტიან ჭინკები...
ღობეს ჩაჰკონებია
გველის სურო, ხვიარა,
სურომ და კაეშანმა
სულზე გადამიარა!
როგორ მომენატრება
ეს სიჩუმე, ღამისა,
შიშჩამდგარი თვალები
მარტოსული ქალისა.

* * *

ღმერთმა ნუ ქნას,
დაცხრეს ვნება,
„არ აენტოს ღვინო ჯამში“,
შენზე ლოცვა-კურთხევისას,
გაერიოს ბზარი ხმაში.
ღმერთმა ნუ ქნას, იდუმალი
ზრახვა მტერმა აისრულოს,
მწუხრის ფერი გედგას თავზე,
ჩემო გულ-მკერდ დაისრულო!
ღმერთმა ნუ ქნას,
მზე გახუნდეს,
ქაშუეთის დუმდეს ზარი
და ჩაბარდეს წარსულს უქმად,
ჯვარცმით, ჩვენი მონაგარი!..

* * *

ბინდ-ბუნდია...
შენ?... შენ არ ხარ,
თითქოსდა...
მე კი, ისევ,
სევდიანი... ის ქალი...
გრძნობას კდემა როგორ
შემოეძარცვა,
მგონი ნამის,
თუ ნუთის წინ გითხარი...
ვერ გაიგე, ვერ გავიგეთ,
რატომღაც,
სურვილს რისთვის
გასჩენია კითხვები?
სად გამქრალა ლურჯი,
მორცხვი ოცნება? –
მერამდენედ, უკვე,
თავს ვეკითხები.
მონატრებამ სევდას
სილა გაანწა,
სულში ღრმად აქვს
დარდს გადგმული ფესვები,
გზა შენამდე
უსაშველოდ შორია,
მდევარივით დაგადევნე
ლექსები...
ქარი ფოთლებს
სველი ხელით აქუჩებს
და ცრემლისგან
მებურება თვალები...
სინანული ისე მჭიდროდ
მეკრობა,
როგორც ფურცელს –
ჩემი ლექსის ბნკარები.
ბინდ-ბუნდია,
შენ... შენ არ ხარ,
რატომღაც...
მე კი, ისევ,
სევდიანი... ის ქალი...
ქალაქს ფერი
გაეცრიცა დარდისგან,
წავედი და...
ვერაფერი გითხარი...



მიხეილ მიხელიძე

ვედრება წმინდა გიორგისადმი

წმინდაო გიორგი,
ქარები მღერიან
და თეთრ სიმყუდროვეს
ეკრძალვის ღამე,
ოცნების ფერადი
ველები შენია,
შენია სინმინდე
და სულის კვარი!
წმინდაო გიორგი,
მზე სულში გინთია,
აღსრულდეს ეგების
განგების ნება,
ეგ შენი ღიმილი
უმნიკვლო ფიქრია
და მარტოშენილთა
უებრო შვება...
მოგვხედე, წმინდაო
და სულის ნათელით
გაფანტე უკუნი
მინასა ზედა,
ამ, საღვთისმშობლოში
დარჩენილ ქართველებს,
კვლავაც, რომ
გვფარვიდეს
უმნიკვლო დედა!
ეს შენი მინაა,
ძველი და დიადი,
ეს შენი ზეცაა –
სიკეთის ფერი,
მუხლებს დაგიკოცნი,
წმინდაო გიორგი, –
მაგ შენი ფეხების
მინა და მტვერი...
თენდება...ფიქრებში
იღვიძებს მამული
და უფლის ცრემლივით
წრფელია ნამი...
წმინდაო გიორგი,
მოგვმადლე საღბუნია...
ზეციდან ჩამესმის
ნანატრი ამინ!

ხცისში

... და ნიავების ფერად
სტრიქონებს
ვიდრე ქარები
დამითხოვებენ, –
ვუსმენ ჩემს ფრთოსან
კომპოზიტორებს:
ბახებს, მოცარტებს
და ბეთხოვენებს.
მათი სულის წვას
და ლიტანიებს,
შეხვედრებსა და
გამოთხოვებებს...
გამოქცეული
სათორე არტახს,
მტკვარი ნადიმობს
თრიალეთურად,
მთის წვერები კი,
ცის ცისფერ კალთას
დაადგებიან
თავზე მეფურად.
მტკვარი მცხეთასთან
ჩაიტანს ამბავს,
ძველქართველურად, –
ანუ ხეთურად...
აქ, ყველა ქვასთან,
სუნთქავს პოემა,
რომელიც ხვალ-ზეგ
დაფრთიანდება
და ცოცხლდება
ციმაკურიძის
დაისები და განთიადები.
აქ იცი, ფიქრით – მუდამ
ურიცხვით,
სად იშლები და
სად მთლიანდები...
აქ, ყორანქედი – მინის
კანდელი
ციდან ჩამოჰკრეფს
ნისლების სოსნებს
და ვარსკვლავები –
ზეცის სანთლები
უმასპინძლებენ ქარებს –
შლეგ მგოსნებს,
მთვარე – ეს ღამის
მიქელანჯელო,
ღრუბლებისაგან
გამოჰკვეთს მოსეს...
მე სულს ჩაგბერავთ,
ხეთა ფოთლებო,
ვიდრელა ქარში
გაიფანტებით,
რომ, ეს, კამკამა
ვარსკვლავთ ორდენი
ავაჟღურტულო
ლექსის ბლარტებით,
იქნებ ამეცსოს
სული ობოლი
მზისა და მთვარის
ფოლიანტებით...

ი უ მ თ რ ე ს ყ ა

საწყალი თინა



ელენა ველაშვილი

ექიმის მისაღებად, გრძელ სკამზე მჯდომ, სამოციოდე წლის, სუსტი პირსახის და ასეთივე აგებულების ქალს, თითქმის მისი ასაკისავე, კოხტად ჩაცმული ქალბატონი მიესალმა, – ბოლო ვინ არისო, იკითხა და პასუხის მიღების შემდეგ იქვე ჩამოჯდა. – როგორ ხარ, ირმა? – მხრები შეატორტმანა და მხვდურმა. როგორც სჩანდა ამ ქალბატონებს, გარდა უბრალო ნაცნობობისა, ერთმანეთთან სხვა არაფერი აკავშირებდა, მაგრამ ახლა დრო ჰქონდათ და, სწორედაც რომ, სიამოვნებით ისაუბრებდნენ!

– რა ვიცი, რაღაც ვერ ვარ კარგად, – უპასუხა ირმამ და კითხვა დაუბრუნა:

– შენ როგორ ხარ, შვილები ხომ კარგად გყავს? – რატომღაც, მოსაუბრეს, ირმამ სახელით არ მიმართა, შემდეგაც რომ ასე განმეორდა, უკვე გასაგები იყო, ამ ქალის სახელი ან ვერ გაიხსენა, ან არც არასოდეს სცოდნია.

– მეც ვერ ვარ კარგად, მარა, რაღაც ჩემები გადამირჩნენ, ჩემ თავს, რას ვჩივი! – უპასუხა ქალმა და ისე შეხედა, თვალებით სთხოვდა, – ჰა, მკითხე ახლა, რა გჭირთ? ირმამაც დიდხანს არ ალოდინა: – რა იყო, ხომ მშვიდობა გაქვთ? ქალს კითხვა ესიამოვნა, მხრები ანურა, სკამზე წინ წამოინია, ყელი მოიღერა და დაიწყო:

– რაი, ქალო და, ხო იცი, თინა რომ ცხოვრობს ჩემკენა? – ირმა ვერ მიხვდა, რომელ თინაზე იყო საუბარი და ცოტა დაბნეულმა შეხედა.

– როგორ არ იცი, გოგო, ბეკენას ცოლი! ირმამ თავი დაუქნია, – კი, მივხვდიო.

– რაღაც ეშმაკადა, გოგო, იმისგანა ყველი არ ვიყიდ! – თვალის კაკლები ისე დაქაჩა ქალმა, თითქოს სათვალის ზემოდან გადმოიხედაო...

– მერე? – უკვე დაინტერესდა ირმა.

– რაი და, თურმე, აცრილი ყოლია ძროხაი და იმისი რძეი ორი კვირა არ უნდა ეჭამა! ამანა კიდევ, ადგა, იყვანა ყველი და ყიდა!

– უიმე! – გულწრფელად შეიცხადა ირმამ. ერთი სული ჰქონდა, ფინალი მოესმინა. მოსაუბრემაც იგრძნო მისი ინტერესი და პათოსით გააგრძელა:

– ხო, გოგო, ვიყიდე და სალამოსა ვჭამეთ, აბა, რას ვიზამდით? მე ერთი ბენო შევჭამე, ჩემმა ქმარმაც ერთი ნათალი და ამ ჩემმა ბიჭმა კი, კარგათა ჭამა! დედა! ჩვენ დღე დაგვადგა!.. მე ცოტაი, მარა ჩემი ბიჭი სულ გაშავდა! სასწრაფოთი რომ მიგვყავდა, ჩემი ქმარიც ბანარით იყო გადაკიდებული ლობეზე!

– დედა! – იცხადებდა შიგ და შიგ ირმა და თვალს არ აცილებდა მოსაუბრეს!..

– მერე, გოგო, საავადმყოფოში რომ მივყავდით სასწრაფოსა, რაღაც-რაღაცეებსა ის დარჩენილი ყველიც არ გავაყოლე! იქ შეჭამს ბიჭი-მეთქი. ექიმმა მითხრა – ყველი არ მიცეო და დავდე გვერდზე... მეორე დღესა, მეორე ბიჭის ცოლი სანახავად მოვიდა და, იმ ყველის ნაჭერი, ავდექი და იმას გავატანე სახლში, – ბავშვებს მაინც აჭამე-მეთქი!.. – ვისი ამოყვანილიაო? – რძალმა მკითხა. ვუთხარი, ვისიც იყო, სუფთა ქალი კია ის უბედური. ჩემი რძალი, გოგო, უცხოს ამოყვანილ ყველს არ ჭამს და, ხო იცი... სახლში რო მიუტანია, ბავშვებისთვისა სხვა ყველი უჭმევია და ეს ყველი, გოგო, მარტო თითონ არ უჭამია!!! დედაა!.. შევხედე და, ისიც აქ არ მოიყვანეს, სასწრაფოთი! გავვიყდი ქალი!

– უიმე! – ისევ შეიცხადა ირმამ. ქალმა ირმას ისეთი თვალებით შეხედა, – ჯერ სადა ხარო – მიანიშნა და განაგრძო:

– ესა, ჩვენა, მარა, ახლა – იქა, რაღაცა აანევენეს ბიჭებმა, გამოუცხია ცხელი პური ამ ჩვენ თინასა, დაუდია ზედა ერთი წველა ყველი და „ბირჟაზე“ თავმოყრილი ბიჭებისთვისა არ გადაუწოდებია!.. უჭამიათ ამ ბიჭებსა და ერთმანეთს ვეღარ აყენებდნენ თურმე! ვილაცას სასწრაფოსთვის დაურეკია, სასწრაფოს მილიცია მოჰყოლია და ამტყდარა ამბავი!

– უი! უი! – თავის ქნევა არ შეუწყვეტია ირმას.

– მერე, გოგო, ამდგარა ეს შენი თინაი, გაუზინზილებია ერთი ვედრო ყველი და ჩამოუტანია ქალაქში. შევაჭრებია ერთი კაცი და ვერაო, ნაკლებად როგორ მოგცემ – მოუხდელია, მაჭკით არის ამოყვანილი და ახალდედააო... უყიდა ამ საწყალ კაცსა და წასულა წვრილშვილში ბედნიერი. უჭამიათ და, ვაი, შენს მტერს, იმათ დღე დადგომიათ!.. სამი სასწრაფო დაჭირვებით საწყლებს!

– გავიყდები კაცი! – აზარტში შევიდა ირმა.

– მერე, გოგო, ეს კაცი რომ გამოკეთებულა, თურმე, ყოველდღე ჩადიოდა ბაზარში და თინას ეძებდა. ერთ დღესაც, წაუღია ამ შენს თინას ყველი, ჩასულა ბაზარში. დგას, თურმე, თავანუელი, გამარჯვებული სარდალივითა და მაშინ დადგომია თავზე ეს კაცი. იქ ამბავი დატრიალებულა! ისეთი გინების კორიანტელი დამდგარა, მტრისას!!!

– ნნ, ნნ, ნნ-ო, – კი იმეორებდა ირმა, მაგრამ ტუჩებს თავს ძლივს უყრიდა, რომ არ გასცილებოდა...

– კი, მაგრამ ოჯახში თვითონ არ ჭამეს?

– თვითონ მარტოა და არ შეჭამდა, – დარწმუნებით თქვა ქალმა. – მარა, ფეხმძიმე რძლისთვის გაუგზავნია და იმ საცოდავს, თურმე, კინალამ ბავშვი აღებინა!..

ამასობაში, იმ ქალის რიგიც მოსულიყო და უკვე დაცლილი, ისე მჩატედ და მხნედ შეკუნულდა ექიმის კაბინეტში, თითქოს მთელი თავისი ტვირთი იმ დერეფანში დაეფერთხოს. ირმა კი, იჯდა თავისი რიგის მოლოდინში და სახე ხან შეეჭმუხნებოდა, ხან კი, იფიქრებდით, ეს-ესაა, სიცილი წასკდებაო...

საწყალი თინა!

„კორონიჩი“ (სიცილ-ტირილიანი)

2020 წლის მარტია. მიუხედავად ქვეყანაში არსებული საგანგებო რეჟიმისა, გადავწყვიტე, ახლობლის სამძიმარზე შევირბინო. წასვლით კი წავალ, მაგრამ ხალხმრავლობის შემთხვევაში, წინასწარ შემუშავებული გეგმა უნდა ავამოქმედო, სხვა გზა არ არის!

ეზოში შესულს ისეთი სიმშვიდე დამხვდა, მისამართის სიზუსტეში ეჭვიც კი შემეპარა...

– ვიზიარებ! – პირბადიანი თავი დაეხარე და გარდაცვლილის ერთადერთ ვაჟს, თანაგრძნობის ნიშნად, ხელთათმანიანი ხელი მკლავზე მოვუვაცუნე.

ცოტა არ იყოს, ეს ყესტი ეხამუშა, მაგრამ ლოყები ისე უღაჟღაჟებდა, „ჩაკრულში“ იყო და ყველაზე ნაკლებად, ალბათ, ეს ედარდებოდა...

როგორც წესი, მიცვალებულს შემოვუარე, ჭირისუფლებს თავი დაეუხარე, მაცხოვრის ხატთან სანთელი ავანთე და თვალი გარდაცვლილისკენ გავაპარე. როგორც მახსოვდა, ისევ ისეთი იერი ჰქონდა 97 წლის კოლა ძიას.

– აი, კაცი! წავიდა მშვიდად, ყოველგვარი შიშისა და კანკალის გარეშე. ისე, რომ ვერც კი იგრძნო სამყაროს ატორტმანება, – გავიფიქრე ჩემთვის.

როგორც ჩანს, ჭირისუფლებმა შემიცნეს და ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს.

– კოლა, კოლაა, ვალოდიას გოგო მოვიდა, ბიჭოოო! მამამისთან დაგაბარებს რამესა ქეთოი, უთხარი, ქეთო, უთხარი, დააბარე, რაც გინდაა... კოლა, კოლაა, კორონამ ხომ მაინც ვერ შეგამინა, ბიჭოოოო! – ისე უცებ, ყოველგვარი შესავლის გარეშე დაიწყო სამოცდაათიოდე წლის, კოლას უმცროსმა დამ დატირება, რომ ფიქრებში წასული, რაღაცნაირად შეეცბი და სასწრაფოდ გავედი აივანზე, სადაც, დისტანციურად მდგომი, ხუთიოდე პირბადიანი ადამიანი ერთმანეთს „ამაგრებდა“.

– უიმე, როგორ გასუქებულა! – ზურგში მხეცებივით დამედევნენ „გულვარდგადასაყრელი“ სიტყვები. კოლას ვაჟი, ლოყებლაჟღაჟა სიკო, ახლა კიბესთან, პირით გზისკენ იდგა და ეტყობოდა, ძალიან ნერვიულობდა.

კიბეს ნელ-ნელა ჩავუყევი.

– ეეეჰ! რა ცუდ დროს წავიდა, – იჭენულად გადახედა გვერდზე მდგომმა, ორმოცდაათიოდე წლის, წვრილთვალემა კაცმა სიკოს და ისე ამოიოხრა, უგულო უნდა ყოფილიყავი, მაღლობა არ გეთქვა ასეთი თანაგრძნობისთვის. თითქოს ამას ელოდაო, შეზარხოშებულმა ჭირისუფალმა ორივე ხელისგული სიმწრით დაატყაპუნა და ისე მოუჭირა რკინას, რომ მთელი კიბის მოაჯირი შეირყა. მერე თავი გადაიქნია და, თითქოს ვერავის ხედავს, ან ხედავს, მაგრამ თავისი გაჭირვებია და აღარაფერს დაეძებსო, ისეთი ხმით ამოიხავლა, ყველამ მისკენ გაიხედა.

– ილბალი არ უნდა, ბიჯო? ბედი არ გინდა? ათი წელია, ორმოცდაათ ლარზე ნაკლები არავისთან მიმიტანია, ამის დედა ვატირე! ათი წელი! ცალკე – ნათესავებში? – სიკო საუბრის დროს მარჯვენა ხელს ცხვირწინ ისე უტრიალებდა „გულშემატკივარს“, იფიქრებდით, ცოტაც და, სახეში გაარტყამსო. მერე თავი გვერდზე შეაბრუნა და შედარებით ხმადაბლა გააგრძელა:

– ვფიქრობდი, მოხუცი მყავს სახლში და... სესხი და ვალია, ძმაო, ყველაფერი, – აქ ისევ ხმას აუნია სიკომ.

– ასე არ არის? აი, ნახე, – სიკომ ფურცელი ამოიგლიჯა ჯიბიდან და ცხვირწინ აუფრიალა მოსაუბრეს.

– 500 კაცის სიააა, ძმაო, ორი წელია, ჯიბით დამაქვს და, აქედან, ოცი კაციც ვერ მოდის. – მაჯით სიმწრის ცრემლი მოიწმინდა თვალზე და განაგრძო:

– ამის ღირსები ვართ მე და მამაჩემი?! ან, რაღა ახლა, ტო! – ისეთი სასწრაფოვითი და გაუბედურებული კაცის ხმა ჰქონდა, კორონას მომგონის ამოგდება, კიდევ ერთხელ, მისი ცოდვითაც ვინატრე.

ალბათ, ასე შეებრალა ორმაგად დაზარალებული კაცი სხვებსაც. შორიანლოს მდგომი გამხდარი ტიპი აკეცილი, წელი ნაბიჯით მიუახლოვდა სიკოს, ოდნავ მოიხარა, ყური ყურთან მიუტანა და შესავლისთვის პირველი კითხვით მიმართა: – მამის სახელი, ბრატ? – ჩანგალზე მოყოლილ ქალაქელს, ალბათ, კულტურული მიმართვის ფორმისთვის ესაჭიროებოდა სიკოს მამის სახელი, თორემ... (საწყალი კოლა!) სიკოს თავიც არ აუნევი. იფიქრებდით, ვერც გაიგონაო, მაგრამ მერე, ნელ-ნელა, ქვეშიდან ისე გამოხედა, ბერბიჭა რომ ფხიზელი ყოფილიყო, ან თავმოყვარე, იქ რაღა გააჩერებდა!

რამდენი რამ იკითხებოდა სიკოს თვალეში!.. მთელი შემოლილი სამყარო იქ ჩაბუდებულიყო, ყველა თავისი უბედურებით!.. უფრო მეტიც, ღმუილი ისმოდა, აზვირთებული დედამინის ღმუილი.

სულ რაღაც ორ წუთში, მოაჯირზე დაყრდნობილმა სიკომ მხრებში ჩარგული საკმაოდ სქელი კისერი გვერდულად მოაბრუნა და თითქოს იპოვა ის, ვისაც პასუხს აგებინებს ამ ყველაფერზე, სარკაზმული ღიმილით ბაგეგაპობილმა დამარცვლით უპასუხა უცნობს:

– კორონა! – ოდნავ შეყოვნდა და, კისერნაგრძელებულმა, თვალი თვალში ისევ გაუყარა – გაიგე, ბიჭო?! თუ ვერ გაიგე?!

შემდეგ თავი შეაბრუნა და გადანერწყვა, მგონი, შეიკურთხა კიდევ...

სულ რამდენიმე კინკილა ადამიანი იდგა ეზოში, მაგრამ თვალ-ყური ყველას მათკენ ჰქონდა მიპყრობილი. ტროსტზე დაყრდნობილმა ცილინდრიანმა მოხუცმა კაცმა თავი მრავალმნიშვნელოვნად გაიქნია და მანაც დამარცვლით, თუმცა, უფრო ხმადაბლა, სიკოს მისამართით, სინანულით ჩაილაპარაკა:

– კორონიჩი!..

სტუმარი რევიონიდან



ნანა დემეტრაძე – ინჟინერ-ტექნოლოგი, სამი პოეტური კრებულის ავტორი. მის ლექსებზე სიმღერებია დაწერილი ცნობილი კომპოზიტორების – მ. სებისკვერადისა და მ. ხორბალაძის მიერ.

ქ-ნ ნანას მეუღლე – ბეჟან ყაველაშვილი ტაძრების რესტავრატორი გახლავთ.

შემოქმედი ცოლ-ქმარი დიდ დროს იმერეთის სოფელ ზოდში ატარებს.

მზითვი...

აღბათ გვექონია დღეები ადრეც,
უფრო საეჭვო, უფრო საზარი
და შეიძლება დღეები დადგეს,
ზურგში სროლის და ძმობის გაბზარვის.
ჩვენ გაცემული მაღლის გვეჯეროდა,
თორემ გვექონია დრო უფრო მძიმეც,
საძმოდ ეს გული მუდამ მღეროდა,
ძმობა გვაძლევდა მომავლის იმედს.
ველარ ვუყურებ ქვეყანას მდუმარს,
სად დაგროვილა ამდენი შური!..
ჩვენ კარგი მიწაც მივართვით სტუმარს
და ახლა მზითვსაც მოითხოვს მდგმური!

ვინც საქართველოსთვის ანთებდა სანთელს

ალჟირში, ორანთან პატარა სოფელია,
შევჩერდით და მგონი გვატყუებს თვალი.
ქართველებს, ვიცით, აქ რომ მოგველიან –
იმერულად განწყობილი სახლი და კარი!..
გინახავთ ვაზი სარზე, იმერული,
სიმინდის ყანა აბრიალებული,
სახლი ფეხებზე წამოსკუპებული,
ეზო იმერულად მოპირკეთებული.
„მერსედესში“ ვსხდებით ექვსი ქართველი,
მეშვიდე ბავშვი, პატარა შოთა –
თვალეზბრიალა და გონებანათელი –
აქ ნახა პირველად იმერული ოდა.
„მთელი აფრიკის მფლობელი რომ იყოთ, –
გვეკითხა და ვსხედვართ გასუსულები,
პარიზში ქარხანაც რომ გქონდეთ თითო,
თბილისი არ ნახოთო თუ ისურვებდით?“
ო, არა, არ გვინდა – ვპასუხობთ ყველა,
ხტის სიხარულით კმაყოფილი ბავშვი,
ჩქარაო, ჩქარა – დაიწყო მღერა,
„ვიშოვოთ რაში, გაფფრინდეთო სახლში!“
მოვიწყინეთ და შემოგვანვა სევდა.
ქართულად, სწრაფად ერთად ვშლით სუფრას...
თბილისს აქედანაც ვუსმენთ და ვხედავთ
და სადღეგრძელო გვინდა რომ ვუთხრათ.
და შესანდობარი ყველა იმ ქართველს,
ბედი ვისაც ჰქონდა მძიმე და აყვია,
საქართველოსთვის ანთებდა სანთელს და
ქართული მიწა კი, გულზე არ დაჰყრია!

რა ვქნა?

საზრუნავმა წაიღო ჩემი ახალგაზრდობა,
დარდი და საწუხარი ერთად შემომსევია.
გამიფრინდა უკვალოდ მაისი და ვარდობა,
მუდამ სხვაზე წუხილი... აღბათ ესეც სენია.
თბილად შემოვინახე მოყოლილი ზღაპრები,
ვერაფერი ვერ შეცვლის მათ სიყვარულს ვერასდროს.
ზღვაში კვლავ მომყვებიან აშვებული აფრები,
და ოცნება ბავშვური გულში ისევ ფერადობს.
რა ვქნა, ასე მგონია, რომ მზე ჩემთვის ანათებს,
ისევ ჩემზე ფიქრობენ, არ დათვლილა წამები,
ძველი, თბილისელები კვლავ მომწერენ ბარათებს,
ყველასათვის ღია მაქვს ისევ გულის კარები!

ისევ ქარი

ისევ ქარი ამოვარდა,
ისევ ქარი, ქარი...
ისევ შენი სიყვარული,
ისევ შენზე ჯავრი...
ისევ ყმუის, კარს მიღწევს,
მე არ ვაღებ, მწყრალი...
ისევ ფიქრებს ამიწვინავს...
ქარი, ქარი, ქარი!



... და შენი გულით ძგერენ საყდრები...
(ტაძრების უბადლო რესტავრატორს, ბეჟან ყაველაშვილს)

სოფელი ზოდი ოქროს ზოდად მომიჩანს თვალში,
როს შენნაირი წრფელი გულით ძგერენ საყდრები...
შენ არ მოითხოვ, სიკეთისთვის დაგიკრან ტაში
და არ გჩვევია სიტყვა-ღვთისთვის ვერსაკადრები!
ხარ ბუნებრივად დარდიანი, როგორც ღრუბელი,
რომელიც წვიმას აპირებს და ცრემლი მოსწყდება,
ძველ ტაძრებს კრძალვით ეფერები უფლის უფლებით
და დიად წარსულს ელი, როდის განმეორდება!
სოფელი ზოდი ოქროს ზოდად მომიჩანს თვალში,
როს შენნაირი წრფელი გულით ძგერენ საყდრები!

მზია ხეთაგური